3. აპრილი 2017 წ., პრაღა

წაყენებული მოთხოვნები

„საჯარო შეკვეთების განთავსების“№ 134/2016 გ.6 კანონის (შემდგომ ტექსტში“ სშგკ) გამარტივებული ლიმიტირებული პროცედურით საამშენებლო სამუშაოების შესრულების ლიმიტირებული შეკვეთის განსათავსებლად.

«ონკოლოგიური სკრინინგ ცენტრის მშენებლობა ზუგდიდში, საქართველო II.»

შეკვეთა არ ექვემდებარება დანაწილებას

1. ინფორმაცია დამკვეთის შესახებ

1.1 დამკვეთის საინდენტიფიკაციო მონაცემები:

Caritas Czech Republic, ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი
უფლებამოსილი წარმომადგენელი, მინდობილობის საფუძველზე მოქმედი: იაკუბ ლიჩკა, გენერალური თავმჯდომარე
იურიდიული მისამართი: ვლადისლავოვის ქ. 1460/12
დამკვეთის საკონტაქტო პირი: ევჟენ დივიში
საიდენტიფიკაციო ნომერი: 70100969
საბანკო რეკვიზიტები: Raiffeisen bank a.s., 110 00 პრაღა 1 P/c: 1021005307/5500, ნაროდნის ქ.9/1010

1.2 საკონტაქტო მონაცემები

ღია პროცედურასთან დაკავშირებული ვალდებულებების და უფლებების რეალიზაციას § 43 სშგკ მდგომარეობის შესაბამისად წარმოადგენს კომპანია (ხელშეკრულების საფუძველზე დამკვეთის დაკვეთის შემსრულებელი უფლებამოსილი კომპანია)

დამკვეთის წარმომადგენელი: «Pyramida CS s.r.o.»
მისამართი კორესპონდენციისთვის: დრტიკოლოვის ქ. 522/11, 109 00 პრაღა10

საიდენტიფიკაციო ნომერი: 45306770
საკონტაქტო პირი: რადეკ მელუზინი
ტელეფონი: 274860055
ელექტრონული მისამართი: radek.meluzin@pyramidacs.cz

2. ინფორმაცია შეკვეთის შესახებ

სატენდერო დოკუმენტაცია გამოქვეყნებულია დამკვეთის პროფილზე.

წინადადების წარდგენის ვადა: 2017 წ. 21. აპრილი 15:00 საათამდე (GET).

წინადადება წარმოდგენილ უნდა იქნას წერილობითი ფორმით და გაუმჭვირვალი დალუქული კონვერტით, დაკვეთის სახელწოდებით ჩეხურ ენაზე, აღნიშვნით «Neotevírat před koncem lhůty pro podání nabídek» (არ იქნას გახსნილი წინადადებების წარდგენის ვადის გასვლამდე) ჩეხურ ენაზე, იმ მიმწოდებლის და მისი საკონტაქტო მონაცემების მითითებით, რომლის მიერაც წარდგენილია წინადადება.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას ჩეხურ, რუსულ ან ქართულ ენაზე, ან აღნიშნული ენების კომბინაციით, გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც სშგკ (საჯარო დაკვეთის შესახებ კანონი)-ს თანახმად, თუ მიმწოდებელი წარმოადგენს საბუთს (მაგალითად კვალიფიკაციის დამადასტურებელს) სხვა (არა ჩეხურ და სლოვაკურ) ენებზე, ამ შემთხვევაში § 45 პ.3 სშგკ -ს თანახმად ეს დოკუმენტი უნდა იყოს ნათარგმნი ჩეხურ ენაზე.

ამრიგად უცხოურ (რუსულ და/ან ქართულ) ენაზე ნებადართულია შემდეგი საბუთების წარდგენა: ხელშეკრულება, დანართები მასზე, სატიტულო გვერდი, წინადადების შინაარსი, დეკლარაცია ფურცლების რაოდენობის შესახებ და ა. შ.

3. საკვალიფიკაციო პირობები

საკვალიფიკაციო მოთხოვნები, აუცილებელი საბუთები:

3.1 მიმწოდებლები ვალდებულნი არიან დაადასტურონ საკვალიფიკაციო პირობების დაცვა § 73 სშგკ თანახმად. მიმწოდებლის დეკლარაცია დადასტურებულ უნდა იქნას მისი ხელმოწერით ან მიმწოდებლის საწესდებო ორგანოს მმართველის ანდა მის მიერ ნდობით აღჭურვილი პირის მიერ. ამ შემთხევაში წინადადებას თან უნდა ერთვოდეს მისი უფლებამოსილების შესაბამისი დამადასტურებელი საბუთი. სხვა პირთა დეკლარაციები უნდა იყოს დამოწმებული შესაბამისი პირის მიერ. დამკვეთი რეკომენდაციას უწევს, წინადადების ფარგლებში, უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთების, მიმწოდებლის დეკლარაციის დედანში ან ნოტარიალური წესით დადასტურებული საბუთების წარდგენას. §46 პ.1 სშგკ პროცედურის ფარგლებში დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს დედანი, ან ნოტარიული წესით დადასტურებული საბუთი, თუ ასეთი არ იქნა წარმოდგენილი მიმწოდებლის მიერ. 122 პ.3(ა)სშგკ-ს შესაბამისად შერჩეულ მიმწოდებელს წესისამებრ მიმართავენ საბუთების კვალიფიკაციის დედნების ან ნოტარიული წესით დამოწმებული ასლების წარდგენის მოთხოვნით, თუ ამგვარი საბუთები ხელთ არ ექნება დამკვეთს.

3.2 თუ დოკუმენტაციის არსებული ნაწილი არ შეიცავს ბლანკების შენიშვნებს, მხედველობაში მიიღება სატენდერო დოკუმენტაციის №2 დანართში არსებული ბლანკების ნიმუშები.

3.3 ძირითად კრიტერიუმებთან შესაბამისობა – **§ 74** სშგკ

<u>ძირითად კრიტერიუმებს შეესაბამება მიმწოდებელი, რომელიც:</u>

ა) ქვეყანაში, სადაც მისი იურიდიული მისამართია დარეგისტრირებული ბოლო 5 წლის განმავლობაში განთავსების პროცედურის დაწყების წინ №3 სშგკ-ს თანახმად არ იყო ნასამართლევი სისხლის სამართლის დანაშაულის გამო სასჯელის ძალაში შესვლის საფუძველზე, ან ქვეყნის სამართლებრივ ფარგლებში, მსგავსი ქმედების გამო, სადაც მისი იურიდიული მისამართია დარეგისტრირებული; მოხდილი ნასამართლეობა არ ითვლება.

თუ მიმწოდებელი იურიდიული პირია, ამ შემთხვევაში ამ იურიდიული პირის მიერ უნდა იყოს დაცული იგივე პირობა, აგრეთვე საწესდებო ორგანოს მმართველის მიერ. თუ მიმწოდებლის საწესდებო მმართველის წევრი არის იურიდიული პირი, ეს პირობა უნდა იყოს შესრულებული (!) ამ იურიდიული პირის მიერ, (!!) ამ იურიდიული პირის საწესდებო ორგანოს თითოეული წევრის მიერ, (!!!) აგრეთვე ამ იურიდიული პირის მიმწოდებლის საწესდებო ორგანოს წარმომადგენელი პიროვნების მიერ. თუ დაკვეთის განთავსების პროცედურაში მონაწილეობას იღებს უცხოური იურიდიული პირის საწარმოოს ფილიალი, ეს პირობა შესრულებულ უნდა იქნას ამ იურიდიული პირის და საწარმოოს ხელმძღვანელის მიერ.

თუ დაკვეთის განთავსების პროცედურაში მონაწილეობას იღებს ჩეხეთის იურიდიული პირის ფილიალი, ეს პირობა უნდა იქნას შესრულებული (!) ამ იურიდიული პირის მიერ, (!!) ამ იურიდიული პირის საწესდებო მმართველი

ორგანოს თითოეული წევრის მიერ, (!!!) ან ისეთი პირის მიერ, რომელიც წარმოადგენს იურიდიული პირის წარმომადგენელს, ასევე (!!!!) საწარმოოს ხელმძღვანელი.**(§ 74 პ. 1 (ა) სშგკ, § 74 პ. 2 და 3 სშგკ).**

a) ჩეხეთის რესპუბლიკაში და იმ ქვეყანაში, სადაც მისი იურიდიული მისამართია დარეგისტრირებული არა აქვს დასაფარი საგადასახადო ვალები **(§ 74 პ. 1 (b)** სშგკ).

b) ჩეხეთის რესპუბლიკაში და იმ ქვეყანაში, სადაც მისი იურიდიული მისამართია დარეგისტრირებული, არ აქვს დავალიანება სავალდებულო დაზღვევის გადასახადებთან დაკავშირებით, ან არ ერიცხება სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის საგადასახადო საურავი. **(§ 74 პ. 1 (c)** სშგკ),

c) ჩეხეთის რესპუბლიკაში და იმ ქვეყანაში, სადაც მისი იურიდიული მისამართია დარეგისტრირებული, მას არ მიაწერენ სავალდებულო დაზღვევის საწევროს გადასახადის, სოციალური უზრუნველყოფის საწევროს, დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის საურავს, გადასახადების დავალიანებას. **(§ 74 პ. 1 (d)** სშგკ).

d) არ იმყოფება ლიკვიდაციის პროცესში, აღიარებული არ არის ვალაუვლად, ქვეყანაში, სადაც მისი იურიდიული მისამართია დარეგისტრირებული, მასთან მიმართებაში საქმეთა მმართველის მიერ არ გამოიყენებოდა სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, ან ანალოგიურ სიტუაციაში იმ ქვეყნის სამართალდაცვითი პასუხისმგებლობის შესაბამისად, სადაც მიმწოდებლის იურიდიული მისამართია დარეგისტრირებული, **(§74 პ. 1 (e)** სშგკ).

<u>ჩეხეთის რესპუბლიკასთან მიმართებაში მიმწოდებელი ვალდებულია დაადასტუროს ძირითად კრიტერიუმებთან შესაბამისობის პირობების შესრულება შემდეგი საბუთების წარდგენით:</u>

- ნასამართლეობის შესახებ ამონაწერი რეესტრიდან. პ **3.3 (a)**-ს თანახმად. ჩეხეთის რეესტრიდან ამონაწერის წარდგენა სავალდებულოა მხოლოდ იმ მენარდეებისათვის, რომელთა იურიდიული მისამართი რეგისტრირებულია ჩეხეთის რესპუბლიკაში. მენარდეებმა, რომლებსაც არ აქვთ რეგისრტირებული იურიდიული მისამართი ჩეხეთის რესპუბლიკაში, აღნიშნული მოთხოვნა უნდა შეასრულონ მათი რეგისტრირებული იურიდიული მისამართის ქვეეყნის კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად.
- ცნობა **3.3 (b)**, თანახმად, შესაბამისი საფინანსო სამმართველოდან.
- **3.3 (b)**, პუნქტთან დაკავშირებით წერილობითი დეკლარაცია აქსიზთან მიმართებაში. ნიმუში მოყვანილია სატენდერო დოკუმენტაციის №2 დანართში.
- **3.3 (c)**, პუნქტთან დაკავშირებით წერილობითი დეკლარაცია. ნიმუში მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციის №2 დანართში.
- **3.3. (d), პუნქტან დაკავშირებით** შესაბამისი ცნობა შესაბამისი სოციალური უზრუნველყოფის რაიონული სამმართველოდან.
- **3.3. (e)-პუნქტის თანახმად.** სავაჭრო რეესტრიდან ამონაწერი ან წერილობითი დეკლარაციის წარდგენა იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტი არ არის დარეგისტრირებული სავაჭრო რეესტრში.
- **საბუთების დადგენილ ძირითად კრიტერიუმებთან შესაბამისობის დასტური** § 74 სშგკ-ს მიხედვით უნდა დადგინდეს არა უგვიანეს 3 თვისა წინადადების მიწოდების დღიდან.

3.4 პროფესიული ვარგისიანობა

დამკვეთი მოითხოვს პირობების შესრულების პროფესიული ვარგისიანობის დამადასტურებელ მტკიცებულებების წარდგენას **§ 77 პ. 1 и 2 (a)** სშგკ-ს თანახმად.

3.4.1 <u>დადასტურების წესი **§ 77 პ. 1** სშგკ-ს შესაბამისად</u>

სავაჭრო ან სხვა ანალოგიური რეესტრიდან ამონაწერის ასლის გზით, იმ შემთხვევაში, თუ სხვა ნორმატიულ- სამართლებრივი აქტით დადასტურებულია ასეთ რეესტრში რეგისტრაცია.
უცხოელმა მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ამონაწერი სავაჭრო ან სხვა ანალოგიური რეესტრიდან იმ ქვეყნის სამართალდამცავი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელშიც დარეგისტრირებულია მისი იურიდიული მისამართი, სამეწარმეო საქმიანობა, ან საცხოვრებელი ადგილი, დედნის ენაზე, ჩეხურ ენაზე თარგმანით. თარგმანის ჩეხურ ენაზე წარდგენა არ ვრცელდება სლოვაკურ ენაზე მოცემულ დოკუმენტთათვის.

3.4.2 <u>დადასტურების წესი **§ 77 პ. 2 (a)** სშგკ-შესაბამისად</u>

დამკვეთი მოითხოვს მიმწოდებლისგან ისეთი მტკიცებულების წარდგენას, რომლითაც დასტურდება მისი საჯარო დაკვეთის საგნის მოცულობის შეესაბამისი სამეწარმეო საწმიანობის ნება.
მიმწოდებელი უზრუნველყოფს ამ პირობის შესრულებას სამეწარმეო საქმიანობის ნებართვის ასლის წარდგენით.

მიმწოდებელი ვალდებულია წარადგინოს ამონაწერი მეწარმეთა რეესტრიდან § 10 პ. 3 (a)კანონი № 455/1991 g 6 შესაბამისად „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“ (კანონი „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“) მოქმედი რედაქციით.
თუ წინადადება წარმოდგენილია უცხოელი სუბიექტის მიერ ჩეხეთის რესპუბლიკის საორგანიზაციო ერთეულიდან, ასეთმა სუბიექტმა უპირველეს ყოვლისა უნდა წარმოადგინოს სამეწარმეო საქმიანობის შესახებ ნებართვა ამ საორგანიზაციო ერთეულთან მინართებაში.

თუ ნორმატულ-სამართლებრივი აქტების თანახმად იმ ქვეყანში, სადაც რაგისტრირებულია მიმწოდებლის იურიდიული მისამართი, არ არის დადასტურებული არსებულ პუნქტში მოცემულის ანალოგი პროფესიული ვარგისიანობის შესახებ, მიმწოდებელი არ არის ვალდებული წარადგინოს აქ მოყვანილი საბუთები. პროფესიული ვარგისიანობის პირობების შესრულების § 77 . 2 (a) სშგკ-ს მიხედვით შესრულებას მიმწოდებელი ადასტურებს პირობების კვალიფიციური შესრულების შესახებ დეკლარაციის მეშვეობით.
საბუთების მიხედვით დადგენილ ძირითად პროფესიულ ვარგისიანობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დასტური § 77. 1 სშგკ-ს მიხედვით უნდა დადგინდეს წინადადების მოწოდების დღემდე 3 თვით ადრე.

3.5 ტექნიკური კვალიფიკაცია– **§ 79** სშგკ

დამკვეთი მოითხოვს საკვალიფიკაციო კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადასტურებას **§ 79 პ. 2** სშგკ: მდგომარეობის მიხედვით

3.5.1 მიმწოდებელმა უნდა წარადგინოს დაკვეთის განთავსების დაწყებამდე ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული საამშენებლო სამუშაოების ჩამონათვალი, ასევე დამკვეთის მიერ გაცემული მოწმობა, რომლითაც დასტურდება ძირითადი სამუშაოების სათანადო შესრულება, ამასთან **მიეთითოს ღირებულება, მიწისზედა სართულების რაოდენობა, შესრულების ვადები და დამკვეთის იდენტიფიკაცია.**

c § 79 პ. 3 კანონის თანახმად ანალოგიურ დაკვეთად ითვლება <u>დასრულებული სამშენებლო სამუშაოები</u>.
საჭიროა მინინუმ ერთი საზოგადოებრივი შენობის - ორსართულიანი ან მეტი, დღგ-ს გარეშე, 765 000 ლარზე არანაკლები ღირებულების ფინანსური აღრიცხვის შესახებ მშენებლობის საბუთების წარდგენა.

დამტკიცების წესი:
სატენდერო დოკუმენტაციის №2 დანართის თანახმად სათანადო სახით შევსებული ბლანკია: დამკვეთის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მითითებით, დამკვეთის მშენებლობის ძირითადი საამშენებლო სამუშაოების სათანადოდ შესრულებაზე მითითებით, მოცულობის (მიწისზედა სართულების რაოდენობა), სამუშაოების შესრულების ვადების, და დამკვეთის იდენტიფიკაციის მითითებით.

3.5.2 მომწოდებელმა ასევე უნდა წარმოადგინოს ტექნიკურ განყოფილებათა ან ტექნიკოსთა სია, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საჯარო დაკვეთის რეალიზაციისას, კერძოდ კი ხარისხის კონტროლის უზრუნველმყოფი, ან ამ შენებლო სამუშაოების განმახორციელებელი პირების სია, მიუხედავად იმისა, თუ ვისზეა საუბარი-მიმწოდებლის მუშაკებზე, თუ იმ პირებზე, რომლებიც სხვა სახით არიან კავშირში მიმწოდებელთან.

დადასტურების წესი:
მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მინიმუმ ორი ტექნიკოსი მათზე დამადასტურებელი მონაცემების მითითებით, რომ ორივე ტექნიკოსი იღებდა მონაწილეობას მინიმუმ 1 წლის განმავლობაში საამშენებლო სამუშაოების რეალიზაციაში, და რომ მათ სამუშაო საგანს წარმოადგენდა კონტროლის ხარისხის უზრუნველყოფა.

3.5.3 მიმწოდებელმა უნდა წარადგინოს არა მარტო იმ ფიზიკური პირების, არამედ მათი ხელმძღვანელი პირების მოთხოვნილ საამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული პროფესიული კვალიფიკაციის და განათლების მოწმობა.

დადასტურების წესი:
მიმწოდებელი ვალდებულია წარადგინოს სახელობითი სია მინინიმუმ ორი ტექნიკოსის. მიუთითოს მონაცემები, რომლითაც დასტურდება, რომ ორივე ტექნიკოსი მონაწილეობას იღებდა მინიმუმ 1 წლის განმავლობაში საამშენებლო სამუშაოების რეალიზაციისას. ამას გარდა მიმწოდებელმა უნდა მიუთითოს მინიმუმ ერთი ხელმძღვანელი მუშაკის სახელი და გვარი, მასზე დამადასტურებელი მონაცემებით, რომ დასახელებული ხელმძღვანელი მუშაკი იღებდა მონაწილეობას საამშენებლო სამუშაოების რეალიზაციაში მინიმუმ 1 წლის განმავლობაში და ყოველთვის ხელმძღვანელობდა მინიმუმ 5 მუშაკისგან შემდგარ გუნდს. ასევე ყოველ მათგანს (მინიმუმ 3 მუშაკი) უნდა ჰქონდეს შესაბამისი მიმართულების სულ მცირე საშუალო პროფესიული განათლება, ანუ, საამშენებლო ობიექტები, მათი აშენებს გამოცდილება. მოცემულ პირებს არ უნდა წარმოადგენდნენ 3.5.2. პუნქტის შესაბამისი პირები, და უნდა იყოს მითითებული სხვა 2 ტექნიკოსი და სხვა ხელმძღვანელი მუშაკი.

3.5.4 მიმწოდებელმა ვალდებულია წარმოადგინოს ბოლო 3 წლის განმავლობაში არსებული მიმწოდებლის მუშაკთა საშუალო წლიური რიცხვი.

დადასტურების წესი:
საჭიროა გაიზარდოს ბოლო 3 წლის განმავლობაში მიმწოდებლის მუშაკთა საშუალო რიცხვი, ყოველ წელს მინიმუმ 10 მუშაკამდე ამ 3 წლის განმავლობაში.

3.6 მიმწოდებელს შეუძლია დამკვეთს დაუდასტუროს მოცემულ სატენდერო დოკუმენტაციაში გარკვეული მოთხოვნების ნაწილი - ტექნიკური კვალიფიკაცია ან პროფესიული ვარგისიანობა. გამონაკლისია კრიტერიუმი §77პ. 1 სშგკ-მიხედვით მესამე პირების მეშვეობით §83 სშგკ-ს თანახმად.
ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს დამკვეთს

a) მესამე პირის პროფესიული ვარგისიანობის დამადასტურებელი საბუთები § 77 პ. 1 სშგკ- თანახმად.

b) მესამე პირის მიერ შესრულებულის კვალიფიკაციის არარსებობის დამადასტურებელი საბუთები.

c) საბუთები, სადაც მოცემულია მესამე პირის მიერ იმ მოთხოვნების შესრულება, რომელიც ძირითად კრიტერიუმებთან მიმართებაში სტ. 74 სშგკ-თანახმადაა მითითებული.

d) მესამე პირის მიერ ვალდებულების აღების წერილობით ფორმაში წარდგენა, რომელიც აუცილებელია საჯარო დაკვეთის შესასრულებლად, ან იმ საგნების და უფლებების წარდგენა, რომლებიც მიმწოდებლის განკარგულებაში იქნება, მინიმუმ იმ მოცულობით, რომელშიც მესამე პირმა დადასტურა მიმწოდებლის მიერ წარდგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ითვლება, რომ მოცემული „წაყენებული წინადადებების“ (d) მუხ. 3.6 თანახმად წერილის მოთხოვნები შესრულებულია, თუ წერილის შინაარსის მიხედვით მესამე პირსა და დამკვეთს აქვთ ერთობლივი მოვალეობა და განუყოფელი პასუხისმგებლობა საჯარო დაკვეთის რეალიზაციის შესრულებისას. თუ მიმწოდებელი ახორციელებს კვალიფიკაციის დადასტურებას მესამე პირის მეშვეობით, § 79 პ 2-ს თანახმად დოკუმენტაციის წარდგენით, მაშინ წერილში (d) უნდა იყოს მესამე პირის მიერ იმ სამუშაოების შესრულების ვალდებულება, რომელთაც ეხებათ დასადასტურებელი საკვალიფიკაციო კრიტერიუმები.

3.7 თუ ერთობლივი რეალიზაციის მიზნით საჯარო დაკვეთის საგნის წინადადება წარმოდგენილია რამოდენიმე მიმწოდებლის მიერ, §82 სშგკ-ს თანახმად ასეთი მიმწოდებლები დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად ადასტურებენ § 74-სთან შესაბამის ძირითადი პროფესული ვარგისიანობის კრიტერიუმების შესაბამისობას § 77 პ. 1 სშგკ-ს მიხედვით. დანარჩენი კვალიფიკაცია დასტურდება არსებული საბუთით მიმწოდებლების მიერ ერთობლივად.

მესამე პირის მიერ საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესრულების შესახებ მდგომარეობა ანალოგიურად ვრცელდება იმ წინადადებებზე, რომლებიც წარმოდგენილია რამოდენიმე მიმწოდებლის მიერ, ანუ ნებისმიერი მიმწოდებელთაგანი, რომელიც ადასტურებს კვალიფიკაციას ერთობლივი წინადადების წარდგენისას უფლებამოსილია დაადასტუროს კვალიფიკაცია მესამე პირის მეშვეობით:

3.7.1 წინადადება უნდა იყოს დადასტურებული ისეთი სახით, რომ ყველა მიმწოდებლის იურიდიულ ვალდებულებას წარმოადგენდეს.

3.7.2 წინადადება უნდა შეიცავდეს პირდაპირ მინიშნებას, რომ ეს მიმწოდებლები, რომლებიც საერთო წინადადებას წარადგენენ, ერთობლივად იქნებიან დამკვეთთან და მესამე პირებთან საჯარო შეკვეთასთან მიმართებაში რაიმე სახის იურიდიულ კავშირში, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს შეკვეთის განთვსების პროცედურის საგანს.

3.8 რეგიონალურ სამინისტროსთან არსებულ § 224 და შემდგომ სშგკ - თანახმად კვალიფიციური მიმწოდებლის სიაში რეგისტრაციის საბუთის წარდგენით დასტურდება ძირითად პროფესიული ვარგისიანობის კრიტერიუმებთან შესაბამისობა, §77 სშგკ-ს თანახმად, იმ მოცულობით, რომელსაც მოითხოვს დამკვეთი. თუ წარმოდგენილია ამონაწერი კვალიფიციური მიმწოდებლის სიიდან, მიმწოდებელი არ არის ვალდებული წარმოადგინოს შესაბამისი ძირითადი კრიტერიუმების დადასტურების დეკლარაცია. ასევე შესაბამისი პირების სისხლის სამართლით პასუხისმგებლობის შესახებ რეესტრიდან ამონაწერი, სავაჭრო რეესტრიდან ამონაწერი, და ამონაწერით დადასტურებული ფაქტების შესახებ საბუთები.

3.9 მოწმობის წარდგენის გზით კვალიფიკაციის დადასტურება ხდება სერტიფიცირებული მიმწოდებლების სისტემის ფარგლებში, და ამასთან ხელმძღვანელობენ § 233 და შემდგომ სშგკ-ს თანახმად. კვალიფიკაცია, რომლის დადასტურებაც შეუძლებელია ამ მოწმობის დახმარებით, აუცილებელია დადგინდეს სშგკ-ში მითითებული გზით და/ან არსებული სატენდერო დოკუმენტაციით, რომელიც შეიცავს მასში მითითებულ საბუთებს, ამასთან წარმოდგენილი მოწმობის და შესაბამისი საბუთების ერთობლიობა ცალსახად უნდა ადასტურებდეს მიმწოდებლის მიერ ყველა საკვალიფიკაციო კრიტერიუმების შესრულებას.

წინადადების ფარგლებში მიმწოდებლებმა უნდა წარმოადგინონ კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთების ასლები. მათი შეცვლა შესაძლებელია დეკლარაციით, ან საჯარო შეკვეთების ერთიანი ევროპული მოწმობით, § 87 სშგკ-ს თანახმად. შეკვეთის განთავსების პროცედურის მიმდინარეობისას დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს საბუთების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დედანი, ან ნოტარიული წესით დადასტურებული ასლი. საბუთების ძირითად კრიტერიუმებთან შესაბამისობა §74 სშგკ-ს მიხედვით, ვარგისიანობის კრიტერიუმებთან შესაბამისობა § 77 სშგკ-ს მიხედვით, დადგენილ უნდა იყოს წინადადების წარდგენამდე არა უგვიანეს 3 თვით ადრე .

4. წინადადების შეფასების წესები § 115 სშგკ-ს თანახმად:

მიმწოდებლის წინადადები შეფასდება სატენდერო კრიტერიუმებთან მიმართებაში, რაც ნიშნავს რომ მიმწოდებელი უნდა აკმაყოფილებდეს საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს. შეფასდება მხოლოდ ის წინადადები რომლებიც აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რის შემდეგაც შეფასების ერთადერთ კრიტერიუმად ჩაითვლება წინადადების დაბალი ღირებულება, რომელიც გამოხატულია ქართულ ლარში, დღგ-ს ჩათვლით, სამუშაოს ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს შეკვეთა დაგაინტერესებთ და ველით თქვენგან წინადადებებს.

პატივისცემით,

იაკუბ ლიჩკა (Jakub Líčka), გენერალური თავმჯდომარე

დანართი: სატენდერო დოკუმენტაცია დანართებით.

CARITAS CZECH REPUBLIC
Vladislavova 12, 110 00 Prague 1
Tel.: +420 296 243 344
Fax.: +420 296 243 333
E-mail.: sekretariat@caritas.cz